საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N2

ქ. თბილისი

01 ნოემბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ-ზე არსებული **42 027,0 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.539) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე:

- გოგი ფაცაცია — მინისტრის პირველი მოადგილე, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის თავმჯდომარე

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

- -მერაბ მენაბდე — მინისტრის მოადგილე
- -კობა სელიმაშვილი — საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- - მურად აბლოთია — დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- -ზაზა იმედაშვილი — მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- - კახაბერ პეტრიაშვილი — იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
- -კახაბერ ჩხარტიშვილი — ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- - გია ნაჭყებია — ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- - ამირან გოგიძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი
- - დავით ლოლაძე — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- - მაიკო მიქაია — სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

დღის წესრიგი:

ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ-ზე არსებული **42 027,0 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.539) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული „კონკურსის“ **(N1007; 25.10.2013)** შეწყვეტის თაობაზე გადაწყვეტილების მიღება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას მოახსენა, რომ კონკურსის გამოცხადებისას საკონკურსო დოკუმენტაციაში დაშვებულ იქნა ტექნიკური შეცდომა, კერძოდ, საკონკურსო წინადადებების მიღების დამთავრების ვადად 2013 წლის 29 ოქტომბრის ნაცვლად, ჩაიწერა 2013 წლის 29 ნოემბერი. ვინაიდან კონკურსის მიმდინარეობის მოცემულ ეტაპზე დაუშვებელია საკონკურსო დოკუმენტაციაში ცვლილებების განხორციელება, ხოლო დაფიქსირებულ თარიღამდე (29 ნოემბერი) კონცეფციის წარმოსადგენა არის ძალიან დაგვიანებული, ამიტომ მიზანშეწონილია, ელექტრონული კონკურსის **(N1007)** შეწყვეტა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

საკითხი სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ-ზე არსებული **42 027,0 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.539) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის **(N1007; 25.10.2013)** შეწყვეტის მიზანშეწონილობის შესახებ.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ დაადგინა:

1. შეწყდეს სამინისტროს მიერ ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ-ზე არსებული **42 027,0 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.539) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის

შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული კონკურსი **(N1007; 25.10.2013)**;

2. ელექტრონულ კონკურსს **(N1007; 25.10.2013)** მიენიჭოს სტატუსი - **"კონკურსი შეწყვეტილია"**;
3. გამოცხადდეს ახალი კონკურსი ქ. თბილისში, აღმაშენებლის ხეივანის მე-13 კმ-ზე არსებული **42 027,0 მ²** მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი N 01.72.14.034.539) - დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტი), განაშენიანების გენერალური გეგმის და დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე;
4. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის 102 მუხლისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული "კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობებისა და წესის" მოთხოვნების შესაბამისად დამტკიცდეს საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია თანდართული ფორმით.
5. საკონკურსო წინადადებების მიღების ბილო ვადად განისაზღვროს **2013 წლის 07 ნოემბერი 14:00 საათი.**
6. სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატს დაევალა:
   6.1. უზრუნველყოს წინამდებარე სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ მისამართზე - contest@procurement.gov.ge.
   6.2. უზრუნველყოს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის გაგზავნა კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობთ მისამართზე - contest@procurement.gov.ge. ;

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავმჯდომარე: გოგი ფაცაცია

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კობა სელიმაშვილი

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

ზაზა იმედაშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები: მურად აბლოთია

გია ნაჭყებია

ამირან გოგიძე

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია